დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. **პროგრამის დასახელება** - ბიზნესის ადმინისტრირება

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი, მათ შორის:**
   - **სავალდებულო კურსები - 75**
   - **სავალდებულოს არჩევითი კურსი - 12**
   - **არჩევითი მოდულის კურსები - 33**

   ხანგრძლივობა – **4** სემესტრი, სემესტრში – **30** კრედიტი.

4. **სწავლების ენა** - ქართული

5. **სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი**
   - **დავით ჯალაღონია** - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი

   სამაგისტრო პროგრამის მოდულის ხელმძღვანელები:
   - პროფესორი **გიორგი ბერულავა** (მოდული - მარკეტინგი)
   - პროფესორი **ზურაბ ლიპარტია** (მოდული - ფინანსები)
   - პროფესორი **ლარისა თაკალანძე** (მოდული - მენეჯმენტი)
   - ასოცირებული **პროფესორი მარინე ხუბუა** (მოდული - საბუღალტრო აღრიცხვა)
6. **პროგრამის მიზანი**

თანამედროვე ეტაპზე რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს ბიზნეს-ორგანიზაციების მართვის სრულყოფის მიმართულებით. ბიზნეს-ორგანიზაციები, როგორც საზოგადოების ცხოვრებისა და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი უჯრედი ამ საზოგადოებას, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით, მომსახურებით, საქონლით და ა.შ. მეორეს მხრივ კი, მათ მიერ კანონით განსაზღვრული გადასახადების გადახდით ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის გარკვეული ნაწილის აკუმულირება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში, რაც ასევე მიმართულია საზოგადოების გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანს, გამომდინარეობს რა, სოხუმის სახელმწიფო უნივესიტეტის მისიიდან, წარმოადგენს უახლეს მეცნიერულ იდეებზე დაფუძნებული, განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური, ერუდირებული, ჰუმანური, ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე სპეციალისტის მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების ისეთ საკვანძო სფეროებში, როგორიცაა: საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი და ფინანსები; აღნიშნულ სფეროებში კვლევითი ელემენტების განვითარება, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია, პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება. მიღებული ცოდნითა და გამომუშავებული უნარ-ჩვევებით ბიზნეს-საქმიანობის წარმატებით განხორციელებისა და პროფესიული კარიერის საფეხურზე წინსვლის შესაძლებლობის მიცემა.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნის ეფექტური რეალიზაციისათვის მიზანშეწონილია ამ პროგრამის ფარგლებში გამოიყოს შემდეგი მოდულები (კონცენტრაციები): საბუღალტრო აღრიცხვა; მარკეტინგი; მენეჯმენტი; ფინანსები.

საბუღალტრო აღრიცხვის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ფინანსების მოდულის მიზნები უშუალოდ გამომდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის საერთო მიზნებიდან და შესაბამისი დარგის კომპეტენციის გათვალისწინებით აკონკრეტებს მას.

საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის მიზანი - საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის მიზანი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ესაა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული ღრმა და სისტემური ცოდნის მიღება და ამ ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, კვლევითი ელემენტების განვითარება, რაც თავის მხრივ, მოიცავს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასებისა და მათი აღიარების პრინციპების, საწარმოს მყარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფის მეთოდებისა და ხერხების ფლობის, საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის შეფასების, მათი ანალიზის საფუძველზე ცალკეული რეკომენდაციების შემუშავების, პროგნოზული ფინანსური ანგარიშგების, ფირმის გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის შეფასების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების, არსებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული ანალიზის კომპეტენციებს. ამასთან, კურსდამთავრებულს არსებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე ექნება შესაძლებლობა მოამზადოს საწარმოს ფინანსური ანგარიშგება და მიიღოს შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებები.

მარკეტინგის მოდულის მიზანი - მარკეტინგის მოდულის მიზანია, ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აუცილებელია მარკეტინგის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ანალიზისათვის და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, მარკეტინგული კვლევის დაგემვის და მის განხორციელებაზე კონტროლის განსახორციელებლად; მომხმარებელთა ქცევის მოტივების ფორმირების თანამედროვე კონცეფციის შესწავლისათვის, მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისას მარკეტინგული კვლევის დაგეგმვისათვის და მისი შედეგების ანალიზისთვის, სადისტრიბუციო არხების დაგეგმვის, ჩამოყალიბების და მართვისათვის, თანამედროვე ინტერნეტ-მარკეტინგის საშუალებების გამოყენებისათვის, მარკეტინგული კომუნიკაციების საშუალებების დაგეგმვისათვის და საკომუნიკაციო პოლიტიკის

ეფექტიური განხორციელებისათვის, ფირმის მარკეტინგული სტრატეგიისა და ტაქტიკის მომზადებისათვის, ფირმის მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის კონტროლისათვის, მარკეტინგის წინსვლის პროგრამის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და მისი ეფექტურად განხორციელებისათვის.

მენეჯმენტის მოდულის მიზანი - მოდული „მენეჯმენტის“ მიზანია მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს მენეჯმენტის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნესის წარმატებულ მართვას და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას, მენეჯმენტის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიებას, კვლევითი ელემენტების განვითარებას, მუდმივად ცვალებად და დინამიურ გარემოში მენეჯმენტის უახლესი მეთოდების და მიდგომების დამოუკიდებლად გამოყენებას, ბიზნეს–სტრუქტურების სტრატეგიების დაგეგმვას, ტექნოლოგიური და პროდუქტიული ინოვაციების დანერგვას ბიზნეს–სტრუქტურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, ბიზნეს–პროცესების თავისებურებების გათვალისწინებას და კომერ-ციული საქმიანობის ოპტიმიზაციას სწორი მენეჯერული გადაწყვეტილების შედეგად, ეფექტურ მმართველობით საქმიანობას სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებში.

- **ფინანსების მოდულის მიზანი** - ფინანსების მოდულის მიზანია სამეწარმეო-ეკონომიკური სუბიექტის (კორპორაციის) ფინანსების მართვის ძირითადი პრინციპებისა და მექანიზმების, საინვესტიციო საქმიანობის აქტივობისა და ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიკური არსის, სახელმწიფო და საერთაშორისო ფინანსების მარეგულირებელი ინსტიტუტების საფინანსო სისტემის ფუნქციონირების, ფინანსური ბაზრების მუშაობის პრინციპებისა და მექანიზმების, ბირჟებზე ფინანსური პროდუქტების მოძრაობის ღრმა და სისტემური შესწავლა; ასევე სტუდენტს შეასწავლოს ფინანსური და საბანკო რისკების მართვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მსოფლიო კავშირების ფუნქციონირებისა და განვითარების ძირითად კითხვებზე პასუხების გაცემა და ამ კვლევების ადაპტაცია საქართველოს რეალობაში; გამოუმუშაოს როგორც ცალკეული ფირმის, ასევე ქვეყნის დონეზე საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების ძირითადი ასპექტები; ბიზნეს-საქმიანობის პროცესების ფინანსების სტრატეგიული მართვის ძირითადი ელემენტების განხორციელების მეთოდოლოგიურ-მეთოდიკური ინსტრუმენტების გაცნობიერება; ფინანსური მართვისა და კონტროლის ინსტრუმენტების გამოყენების უნარის გამომუშავება ოპტიმალური გადაწყვეტილებათა მიღებისა და ეფექტიანი ფინანსური მენეჯმენტის განსახორციელებლად; საბანკო მენეჯმენტში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; ფინანსური კონტროლის სისტემის ორგანიზაციის სრულყოფის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა; საბიუჯეტო დაგეგმვისა და კონტროლის საქმიანობის მართვასა და რეგულირებაში არსებულ პრობლემათა კვლევის, ფაქტორთა ანალიზისა და შედეგთა განზოგადების უნარის შეძენა; კონტროლის სისტემაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა.

7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით;
- საერთო სამაგისტრო გამოცდებში კომპეტენციათა დადგენილი ზღვარის გადალახვა;

- სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე; სასპეციალიზაციო საგანი - „ეკონომიკის პრინციპები“. გამოცდის ჩატარების პირობები და წესი შეგიძლიათ იხილოთ: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.sou.edu.ge;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ისეთ საკვანძო სფეროებში, როგორიცაა: საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები. კერძოდ, სტუდენტი ფლობს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში გამოყენებადი მათემატიკურ-სტატისტიკურ/ალბათური მოდელების ცოდნას; ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი პრინციპების, საწარმოს საქმიანობის ფინანსური კუთხით შეფასების მეთოდების, დანახარჯთაღრიცხვის, თვითღირებულების დადგენის და ბიუჯეტის შედგენის მეთოდებს; შეუძლია მიკროეკონომიკური თეორიის გამოყენება მმართველობითი პრაქტიკის რეალური პრობლემების გადასაწყვეტად, გააჩნია ინვესტიციებისა და ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების, საინვესტიციო პორტფელის შედგენის მეთოდების, რისკების ანალიზისა და მენეჯმენტის თეორიების საფუძვლიანი ცოდნა; შეუძლია სტრატეგიული ალტერნატივების შეფასებისა და კონკურენტული ბიზნეს-სტრატეგიების მეთოდიკის შემუშავება; გაცნობიერებული აქვს ბიზნესის ეთიკურ–სამართლებრივ გარემო; ფლობს ორგანიზაციისა და გარემოს კრიტიკული ანალიზის მეთოდებს, სიტუაციათა შეფასებისა და მოდელირების თანამედროვე ინსტრუმენტებს; აქვს ორგანიზაციული კულტურისა და ორგანიზაციული განვითარების შესაძლებლობების შეფასების მეთოდების ცოდნა; კომუნიკაციისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესების ცოდნა; PR აქციების სწორი ტაქტიკისა და ეფექტური სარეკლამო კამპანიის წარმართვის საფუძვლიანი ცოდნა; გაცნობიერებული აქვს კონკურენტული უპირატესობების გამოვლენისა და ბრენდ მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების საკითხები, თანამედროვე PR ტექნოლოგიების, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების და ნდობის მოპოვების მეთოდები; გაცნობიერებულია მენეჯმენტის სტრატეგიული, ინოვაციური, საწარმოო, საფინანსო, გლობალურ-საერთაშორისო, ადმინისტრაციულ, სოციალურ-ფსიქოლოგიური, კულტურულ-ეთიკური და სხვა ასპექტებში; სწავლების ამ საფეხურზე მიღებული ცოდნით და გამომუშავებული უნარ-ჩვევებით, რეალური ბიზნეს-გარემოს გათვალის-წინებით, ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირებაში მიმდინარე პროცესების კვლევა, ბიზნესის მართვაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ანალიზი და ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული დარგების მიხედვით: საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები - აქვს უნარი ბიზნესის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები და პრაქტიკულად განახორციელოს ის. კერძოდ, შეუძლია მათემატიკური სტატისტიკის აპარატისა და თანამედროვე პროგრამული პაკეტების გამოყენებით მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გაკეთება სხვადასხვა აქტუალური ამოცანების გადაწყვეტის შემთხვევაში; ინვესტიციების კაპიტალური ბიუჯეტირება და შეფასება, ახდენს ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციას, გამოიყენებს მათ განვითარების სტრატეგიულ ამოცანათა დამოუკიდებლად დაგეგმვა-პროგნოზირებისათვის; შეუძლია ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში კვლევების დამოუკიდებლად განხორციელება, სტრატეგიული ხედვის შემუშავება, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად

ბიზნეს–გეგმის შედგენა, სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის, დავების რეგულირების, უმრავლესობის კონტროლისა და უმცირესობის უფლებების დაცვის უნარი; ფლობს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარს, ლიდერულ კომპეტენციებს, ამასთან, შეუძლია დამაჯერებლად იმოქმედოს ახალ, მულტიდისციპლინურ გარემოში და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისას მონახოს ინოვაციური და ორიგინალური გზა; ბიზნესის ეფექტურად განხორციელების მიზნით მიმართოს კვლევის დამოუკიდებელ უახლეს მეთოდებს და მიდგომებს.

დასკვნის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული დარგების მიხედვით: საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული პრობლემატური საკითხების განმაპირობებელი ფაქტორებისა და ძირითადი ტენდენციების ანალიზის შედეგად არგუმენტირებული დასკვნის წარმოდგენის უნარი, კერძოდ, სტუდენტს შეუძლია გააანალიზოს კვლევის შედეგად მიღებული რაოდენობრივი და თვისობრივი ინფორმაცია; მარკეტინგული კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის დეტალური ანალიზის შედეგად ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება და არსებული პრობლემების გადაწყვეტის გაცნობიერება. საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული რთული და ზოგჯერ არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, ფინანსური ანგარიშგებების გაანალიზების და ფირმის ფინანსური მდგომარეობის შესახებ შესაბამისი დასკვნების გამოტანის უნარი; ფინანსური მენეჯმენტის პრინციპებისა და მექანიზმების შესწავლით და გამომუშავებული უნარით განყენებული მონაცემების და სიტუაციების კრიტიკული ანალიზი; სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა კრიტიკულად გააზრება, კონკურენტული ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის შემუშავება; ლიდერობისა და ხელმძღვანელობის შესახებ თანამედროვე ცოდნის მნიშვნელოვანი ელემენტების შესწავლისა და რთული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება თანამედროვე საქმიან სამყაროში ლიდერობის როლის, ეფექტიანი ლიდერობის შესახებ. ამასთან ერთად, უახლოეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი.

კომუნიკაციის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული დარგების მიხედვით: საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები აქვს ბიზნეს-პროცესებთან დაკავშირებიულ პრობლემებზე და ტენდენციებზე, თეორიულ კონცეფციებზე კომუნიკაციის უნარი დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულად და ინგლისურ ენაზე. ამასთან ერთად, მას შეუძლია წერილობითი ანგარიშების მომზადება და ზეპირი პრეზენტაცია, ასევე დასმული პრობლემის აღწერისა და ამ პრობლემის გადაჭრის საკუთარი მოსაზრებების გასაგებად წარმოდგენა, არსებული ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო მოწყობილობების გამოყენება და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისება.

სწავლის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული დარგების მიხედვით - საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები - აქვს უნარი გამოკვეთოს საკუთარი პროფესიული ინტერესები და მოახდინოს ცოდნის იმ საჭიროებათა გამოვლენა, რაც მისი შემდგომი სწავლის მიმართულების დამოუკიდებლად განსაზღვრის საშუალებას მისცემს; დამოუკიდებლად, სხვადასხვა წყაროებიდან მიიღოს ქართული და უცხოური სპეციალური ინფორმაცია, დაამუშაოს, გაანალიზოს და გამოიყენოს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის პროცესში. ამასთან ერთად, მას შეუძლია სწავლის პროცესის გაცნობიერება და მისი სტრატეგიული დაგეგმვა.

ღირებულებები - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ღირებულებას განსაზღვრავს მასში შემავალი დარგების - საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები - ღირებულებებისადმი სტუდენტის მიდგომები, კერძოდ, სტუდენტს გაცნობიერებული აქვს ლიბერალურ-დე-

მოკრატიული ღირებულებები, პირადი და გუნდური პასუხისმგებლობის უნარი; აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა ხელს უწყობს საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების განუხრელ დაკმაყოფილებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებისათვის წინაპირობების შექმნას.

ბიზნესის ადმინისტრირების მოდულების (კონცენტრაციების) კომპეტენციები

I. მოდული (კონცენტრაცია) - საბუღალტრო აღრიცხვა

ცოდნა და გაცნობიერება - სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის (კონცენტრაცია) ფარგლებში აქვს ღრმა და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, კერძოდ, მას აღნიშნული მოდულის (კონცენტრაციის) ფარგლებში აქვს:

- საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა; ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით მიმდინარე პროცესების ღრმა და სისტემური კვლევის უნარი;
- საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულებით მიმდინარე პროცესების ღრმა ანალიზის საფუძველზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია;
- საერთაშორისო სტანდარტებით ფინანსური აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების უნარი;
- ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასებისა და მათი აღიარების პრინციპების კომპეტენცია; საწარმოს მყარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფის მეთოდებისა და ხერხების ფლობის უნარი;
- მენეჯერული აღრიცხვის მიზნისა და ფუნქციების ახსნის, მმართველობითი აღრიცხვის საკითხებზე პროექტების შედგენისა და მართვის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის უნარი;
- საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის შეფასების, მათი ანალიზის საფუძველზე ცალკეული რეკომენდაციების შემუშავების უნარი. ამასთან ერთად, პროგნოზული ფინანსური ანგარიშგების, ფირმის გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის შეფასების უნარი;
- საერთაშორისო სტანდარტებით აუდიტის განხორციელების თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა;
- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, გადასახადების, დაბეგვრის ობიექტების, კოდექსით გათვალისწინებული სხვა რეგულაციების თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უნარი:

- საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით ახალი, ორიგინალური გზების ძიებისა;
- საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში მიმდინარე კვლევების დამოუკიდებლად განხორციელებისა;
- ბიზნესის ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებისა;
- საბუღალტო აღრიცხვის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებისა;

- საერთაშორისო სტანდარტებით აუდიტის ჩატარებისა და ფინანსური ანგარიშგების ანალიზისა, დადგენილი ნორმების საფუძველზე აუდიტორული დასკვნის მომზადებისა.

დასკვნის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის (კონცენტრაცია) კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების უახლოეს კონცეფციებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;
- ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია, გამოცალკევება და ერთმანეთთან შედარება;
- ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა.

კომუნიკაციის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის (კონცენტრაცია) კურსდამთავრებულს აქვს უნარი განახორციელოს:

- საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში გაკეთებული დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- საბუღალტრო ინფორმაციის მომზადება საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით;
- პრეზენტაციები უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ელექტრონულ დოკუმენტაციაში, ელექტრონულ ცხრილებში და სხვა მონაცემთა ბაზებში ასახული საბუღალტრო ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის.

სწავლის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის (კონცენტრაცია) კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვა და შეფასება;
- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება;
- სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონის მიღწევა.

ღირებულებები - საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის (კონცენტრაცია) სტრუქტურა, მისი შინაარსობრივი და თემატური მახასიათებლები მთლიანობაში შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის საერთო ღირებულებას და, თავის მხრივ, ავსებს მას. სტუდენტს შეუძლია:

- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება;

- საკუთარი სწავლების მართვის და შეფასების, ხელმისაწვდომი რესურსების ბაზაზე საჭირო მიმართულებით ცოდნის დამოუკიდებლად ამაღ-ლების დაგეგმვა და უზრუნველყოფა;
- ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

II. მოდული (კონცენტრაცია) - მარკეტინგი

ცოდნა და გაცნობიერება-მარკეტინგის მოდულში შეტანილი კურსების გავლის შემდეგ, სტუდენტს აქვს:

- მარკეტინგის სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა;
- ბაზარზე კონკურენციის თავისებურებების ანალიზის უნარი;
- ფირმების კონკურენტული სტრატეგიებისა და კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ხერხების ჩამოყალიბების უნარი;
- მიზნობრივი ბაზრების სეგმენტაციისა და მიზნობრივი სეგმენტების შერჩევის უნარი;
- პროდუქციის პოზიციონირების სტრატეგიის ჩამოყალიბების უნარი;
- ბაზარზე სასაქონლო, ფასობრივი, კომუნიკაციური და დისტრიბუციული პოლიტიკის ინსტრუმენტების დაგეგმვის უნარი;
- მმართველობითი და მარკეტინგული კვლევის პრობლემების განსაზღვრის, მარკეტინგული კვლევის დაგეგმვის, მისი შედეგების ანალიზის და ინტერპრეტირების უნარი;
- მარკეტინგის სფეროში ორიგინალური იდეების შემუშავების უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის მარკეტინგის დარგში გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე, სტუდენტს შეუძლია:

- ფირმის და საქონლის კონკურენტული პოზიციის ამაღლებისათვის სტრატეგიული და ტაქტიკური ღონისძიებების მომზადება;
- სასაქონლო, ფასობრივი, კომუნიკაციური და გასაღებითი პოლიტიკის გამოყენება;
- ფირმაში მარკეტინგული განყოფილების შექმნა და მისი საქმიანობის ორგანიზაცია;
- მარკეტინგული გამოკვლევების დამოუკიდებლად ჩატარება, მარკეტინგული კვლევის ამოცანისა და კვლევის პრობლემის ილუსტრირება, მარკეტინგული კვლევის გეგმის და კვლევის ჩატარების შესახებ წინადადებების მომზადება;
- უახლესი მეთოდების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;
- ბიზნესის ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება.

დასკვნის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, მარკეტინგის მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე სტუდენტს შეუძლია:

- მარკეტინგის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შესახებ ახალი და განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი;

- მარკეტინგის, მომხმარებელთა ქცევის მოტივების ფორმირების სფეროში რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- მარკეტინგის სფეროში არსებულ უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინოვაციური სინთეზი.

კომუნიკაციის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, მარკეტინგის მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე სტუდენტს შეუძლია:

- მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში მარკეტინგის დარგის სპეციალისტებთან და სხვა სფეროს ექსპერტებთან;
- ფირმის და საქონლის კონკურენტული პოზიციის ამაღლებისათვის სტრატეგიული და ტაქტიკური ღონისძიებების განხორციელების შესახებ საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა და დაცვა;
- მარკეტინგის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შესახებ დასკვნების, არგუმენტაციის და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ელექტრონულ დოკუმენტაციასთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;

სწავლის უნარი – მარკეტინგის მოდულში გაწერილი დისციპლინების ფარგლებში შეუძლია:

- დამოუკიდებლად დაამუშავოს და გაანალიზოს მარკეტინგის სფეროში მიმდინარე პროცესები და მოვლენები, მომხმარებელთა ქცევის მოტივების ფორმირების თანამედროვე კონცეფციები და სადისტრიბუციო არხების დაგეგმვასთან და ინტერნეტ-მარკეტინგის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული დარგობრივი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა;
- ფირმის მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის დამოუკიდებლად შესწავლა და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა.

ღირებულებები - მარკეტინგის მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავებისათვის და ბიზნეს-გადაწყვეტილებებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება მორალურ-ეთიკური ნორმების დაცვით. აცნობიერებს სამართლებრივი, ეთიკური და კროსკულტურული პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში და საზოგადოებაში. სტუდენტს შეუძლია:

- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება;
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, სოციალური თანასწორობის, კანონის უზენაესობის დაცვა;
- ბიზნეს პარტნიორებთან სამართლიანი ურთიერთობის აუცილებლობის, ურთიერთობებში ეთიკისა და ეტიკეტის საყოველთაო აღიარებულ ნორმების, საყოველთაოდ აღიარებული საბაზრო პრინციპების გათავისება და დაცვა.
- სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციების, თავისებურებების აღიარება და მათი გათვალისწინება ბიზნეს საქმიანობის წარმართვისას;
- ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

III. მოდული (კონცენტრაცია) - მენეჯმენტი

ცოდნა და გაცნობიერება - მენეჯმენტის სფეროში სტუდენტმა მიიღო ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა, რის საფუძველზე მას შეუძლია:

- ბიზნესის მენეჯმენტში არსებული ტექნოლოგიების გამოყენება;
- ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება;
- გააცნობიეროს მენეჯმენტის ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - მენეჯმენტის მოდულის სასწავლო კურსების შესწავლით მიღებული ცოდნით და გამომუშავებული უნარით სტუდენტს შეუძლია:

- ბიზნესის სფეროში მმართველობითი საქმიანობის განხორციელება, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება;
- მენეჯმენტის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიება;
- მუდმივად ცვალებად და დინამიურ გარემოში, მენეჯმენტის უახლესი მეთოდების და მიდგომების დამოუკიდებლად გამოყენება;
- სტრატეგიული ხედვის გამომუშავება, რომელიც საშუალებას იძლევა ფირმის განვითარების გლობალური სტრატეგიის შემუშავებაში, აგრეთვე ცალკეული ქვედანაყოფების საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვაში;
- მონაწილეობის მიღება ტექნოლოგიური და პროდუქტიული ინოვაციების დანერგვაში ბიზნეს–სტრუქტურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეფექტური ფუნქციონირების მიზნით.

დასკვნის უნარი - დარგში მიღებული ცოდნით და გამომუშავებული უნარით სტუდენტს შეუძლია:

- რთული, მრავალფეროვანი და არასრული ინფორმაციების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა;
- უახლოს მონაცემებზე დაყრდნობით წარმოების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის სინთეზი.

კომუნიკაციის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, მენეჯმენტის მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე სტუდენტს შეუძლია;

- თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების შესახებ, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, დაამყაროს კომუნიკაცია კოლეგებთან, კლიენტებთან, შუამავლებთან, ბიზნეს პარტნიორებთან;
- საქმიანი ურთიერთობების დამყარება და მოლაპარაკების წარმართვა ბიზნეს–პარტნიორებთან და კლიენტებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სწავლის უნარი - სტუდენტს შეუძლია:

- სამეწარმეო საქმიანობასთან და ორგანიზაციის მენეჯმენტთან დაკავშირებული ინოვაციური მიდგომების და მოწინავე გამოცდილების გაზიარება;

- მენეჯმენტის სფეროში უახლესი მონაცემებისა და ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება და შესწავლა;
- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;
- ცოდნის მუდმივი განახლება–სრულყოფა;

ღირებულებები - სტუდენტი ახდენს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას, ასევე მმართველობით საქმიანობაში ეთიკური, სამართლებრივი, მორალურ–ზნეობრივი და კულტურათაშორისო ნორმების გათვალისწინებას და დაცვას. სტუდენტს შეუძლია:

- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება;
- ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

IV. მოდული (კონცენტრაცია) - ფინანსები

ცოდნა და გაცნობიერება - სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ფინანსების მოდულის (კონცენტრაცია) ფარგლებში აქვს:

- სახელმწიფო და საერთაშორისო ფინანსების მარეგულირებელი ინსტიტუტების საფინანსო სისტემის ფუნქციონირების, ფინანსური ბაზრების მუშაობის პრინციპებისა და მექანიზმის, ბირჟებზე ფინანსური პროდუქტების მოძრაობის, ფინანსური და საბანკო რისკების მართვის შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა;
- როგორც ცალკეული ფირმის, ასევე ქვეყნის დონეზე საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების, ბიზნეს-საქმიანობაში მიმდინარე ფინანსური პროცესების სტრატეგიული მართვის ძირითადი ელემენტების (სტრატეგიული ანალიზი, კვლევითი ელემენტები, გადაწყვეტილების მიღება, სტრატეგიების მართვა) განხორციელების ინსტრუმენტების ღრმა და სისტემური ცოდნა.
- ფინანსების, საბანკო მენეჯმენტის სფეროში ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების უნარი;
- საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის სისტემის ორგანიზაციის სრულყოფის მნიშვნელოვანი საკითხების აუდიტორული კონტროლის როლის ამაღლებისა და აუცილებლობის საკითხების შესწავლა; საბიუჯეტო დაგეგმვისა და კონტროლის საქმიანობის მართვასა და რეგულირებაში არსებულ პრობლემათა კვლევის, ფაქტორთა ანალიზისა და შედეგთა განზოგადების უნარი. კონტროლის სისტემაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების უნარ-ჩვევები;
- ფინანსების სფეროსთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების ძიების უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის ფინანსების მოდულის მიხედვით მიღებული ცოდნით და გამომუშავებული უნარით სტუდენტს აქვს:

- ეკონომიკური გადაწყვეტილებების დროს რისკების გამოვლენისა და შეფასების უნარი;

- ფინანსების სფეროში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი;
- ფინანსების სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი;
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ფინანსების სფეროში ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი.

დასკვნის უნარი - დარგში მიღებული ცოდნით და გამომუშავებული უნარით სამეცნიერო კვლევისა და ბიზნესის განვითარებისათვის შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით სტუდენტს დამოუკიდებლად შეუძლია:

- რთული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- ფინანსური და საბანკო რისკების მართვის სწავლების მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოება, მსოფლიო კავშირების ფუნქციონირებისა და განვითარების ძირითად კითხვებზე პასუხების გაცემა და ამ კვლევების ადაპტაცია საქართველოს რეალობაში; საინვესტიციო საქმიანობის აქტივობისა და ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიკურ არსის გაგება, ინვესტირების ძირითადი ეტაპები, ფინანსური და რეალური ინვესტიციები, საინვესტიციო გარემოს შექმნისა და ინვესტიციური რისკების თავისებურებები; საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების ძირითადი მეთოდების და მექანიზმების განსაზღვრა;
- განყენებული მონაცემების და სიტუაციების ანალიზი;
- ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორად შეფასების, შედეგების ფორმულირებასა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით წარმოების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის სინთეზი.

კომუნიკაციის უნარი - სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილებით:

- სტუდენტი შედის დისკუსიაში და მონაწილეობს დებატებში, რაც უკავშირდება სასწავლო კურსით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე არგუმენტირებული ინფორმაციების წარმოდგენისა და კონტრარგუმენტების წარმოჩენას;
- თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების შესახებ, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, დაამყაროს კომუნიკაცია კოლეგებთან, კლიენტებთან, შუამავლებთან, ბიზნეს პარტნიორებთან;
- გააჩნია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- საქმიანი ურთიერთობების დამყარება და მოლაპარაკების წარმართვა ბიზნეს–პარტნიორებთან და კლიენტებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სწავლის უნარი - სტუდენტი არსებული რესურსების დახმარებით:

- მართავს საკუთარ სწავლებას და აფასებს მას;
- შეუძლია მისთვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურის გამოყენებით სწავლის პროცესის გაცნობიერება, დაგეგმვა და დამოუკიდებლად წარმართვა.

ღირებულებები - კურსის შესწავლით სტუდენტს აქვს გამომუშავებული მორალური ნორმები და სოციალური პასუხისმგებლობები, რომელიც აუცილებელია, როგორც ბიზნესის, ასევე, საზოგადოების განვითარებისათვის; შეუძლია ღირებულებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; ეთიკური ნორმებისა და პროფესიული ფასეულობების დაცვა.

9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				ლექტორი	წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
სავალდებულო კურსები - 75 კრედიტი											
1.	ლიდერობა და მენეჯერული კომუნიკაციები	BUSS M202	**6**	50	100	**6**				ასოცირებული პროფესორი **ირმა დიხამინჯია**	წინაპირობის გარეშე
2.	ბიზნეს-სტატისტიკა	BUSS M203	**6**	50	100	**6**				ასოცირებული პროფესორი **მალხაზ კუცია**	წინაპირობის გარეშე
3.	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები	BUSS M204	**6**	50	100	**6**				პროფესორი **დავით ჯალაღონია**	წინაპირობის გარეშე
4.	მარკეტინგული მენეჯმენტი	BUSS M207	**6**	50	100	**6**				პროფესორი **გიორგი ბერულავა**	წინაპირობის გარეშე
5.	სტრატეგიული მენეჯმენტი	BUSS M205	**6**	50	100		**6**			ასოცირებული პროფესორი **ნინო ხარებავა**	წინაპირობის გარეშე
6.	მენეჯერული ეკონომიკა	BUSS M201	**6**	50	100		**6**			ასოცირებული პროფესორი **მადონა გელაშვილი**	წინაპირობის გარეშე
7.	ბიზნეს-სამართალი	BUSS M208	**6**	50	100			**6**		ასოცირებული პროფესორი **იური პაპასქუა**	წინაპირობის გარეშე
8.	ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა	BUSS M209	**3**	35	40			**3**		პროფესორი **ლარისა თაკალანძე**	წინაპირობის გარეშე
9.	**არჩევითი საგანი: (12 კრედიტი)** • ოპერაციული და საწარმოო მენეჯმენტი (ინგლისურ ენაზე) • ოპერაციული და საწარმოო მენეჯმენტი (ქართულ ენაზე)	BUSS M232	**6**	50	100	**6**	**6**			პროფესორი **გიორგი ბერულავა** ასოცირებული პროფესორი **რომეო გალდავა**	წინაპირობის გარეშე წინაპირობის გარეშე

	• ბიზნეს ინგლისური • ფინანსების სტრატეგიული მართვა (ინგლისურ ენაზე) • ფინანსების სტრატეგიული მართვა (ქართულ ენაზე)	BUSS M233 BUSS M206	**6** **6**	50 50	100 100					პროფესორი მზია თოფურიძე პროფესორი **ზურაბ ლიპარტია** ასოცირებული პროფესორი **ნინო ხარებავა**	წინაპირობის გარეშე წინაპირობის გარეშე წინაპირობის გარეშე
10.	**სამაგისტრო ნაშრომი**	BUSS M231	**30**	65	685				**30**		პროგრამით გათვალისწი-ნებული სასწავლო კურსები
არჩევითი მოდულების კურსები - 33 კრედიტი (სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთ არჩევით მოდულს)											
I.	**მოდული - საბუღალტრო აღრიცხვა**										
1.	ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი	BUSS M210	**6**	50	100		**6**			პროფესორი **დავით ჯალაღონია**	BUSS M204
2.	მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი	BUSS M211	**6**	50	100		**6**			ასოცირებული პროფესორი **ნანული ძიმცეიშვილი**	BUSS M204
3.	გადასახადები და დაბეგვრა	BUSS M212	**6**	50	100			**6**		ასოცირებული პროფესორი **იური პაპასქუა**	წინაპირობის გარეშე
4.	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები	BUSS M213	**6**	50	100			**6**		ასოცირებული პროფესორი **მარინე ხუბუა**	BUSS M204
5.	ფინანსური ანალიზი	BUSS M214	**3**	35	40			**3**		ასოცირებული პროფესორი **ნაზი გვარამია**	BUSS M203
6.	**პროფესიული პრაქტიკა**	BUSS M230	**6**	105	45			**6**		ასისტენტ პროფესორი **ნინო ქეცბაია**	I-II სემესტრის სასწავლო კურსები
II.	**მოდული - მარკეტინგი**										
1.	მარკეტინგული კვლევა (ინგლისურ და ქართულ ენაზე)	BUSS M215	**6**	50	100		**6**			პროფესორი **გიორგი ზერულავა**	BUSS M203
2.	მომხმარებლის ქცევა	BUSS M216	**6**	50	100		**6**			ასოცირებული პროფესორი **დევი შონია**	BUSS M207
3.	მარკეტინგული კომუნიკაციები	BUSS M217	**6**	50	100			**6**		ასისტენტ პროფესორი **ნინო ქეცბაია**	BUSS M207
4.	სადისტრიბუციო არხების მენეჯმენტი	BUSS M218	**6**	50	100			**6**		ასოცირებული პროფესორი **დევი შონია**	BUSS M207
5.	ინტერნეტ-მარკეტინგი	BUSS M219	**3**	35	40			**3**		პროფესორი **გიორგი ზერულავა**	BUSS M207
6.	**პროფესიული პრაქტიკა**	BUSS M230	**6**	105	45			**6**		ასისტენტ პროფესორი **ნინო ქეცბაია**	I-II სემესტრის სასწავლო კურსები
III.	**მოდული - მენეჯმენტი**										

1.	ორგანიზაციული ქცევა	BUSS M220	**6**	50	100		**6**			პროფესორი **რევაზ ხარებავა**	BUSS M202
2.	ინოვაციების მენეჯმენტი	BUSS M221	**6**	50	100		**6**			ასოცირებული პროფესორი **ირმა დიხამინჯია**	BUSS M205
3.	ცვლილებათა მართვა	BUSS M222	**6**	50	100			**6**		ასოცირებული პროფესორი **ირმა დიხამინჯია**	BUSS M202
4.	საერთაშორისო მენეჯმენტი	BUSS M223	**6**	50	100			**6**		ასისტენტ პროფესორი **ელისო ლანჩავა**	BUSS M202
5.	საქმიანი ურთიერთობები	BUSS M224	**3**	35	40			**3**		პროფესორი **ლარისა თაკალანძე**	წინაპირობის გარეშე
6.	**პროფესიული პრაქტიკა**	BUSS M230	**6**	105	45			**6**		ასისტენტ პროფესორი **ნინო ქეცბაია**	I-II სემესტრის სასწავლო კურსები
IV.	**მოდული - ფინანსები**										
1.	ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები	BUSS M225	**6**	50	100		**6**			ასოცირებული პროფესორი **რუსუდან პაპასკირი**	BUSS M206
2.	ფინანსური კონტროლი	BUSS M226	**6**	50	100		**6**			ასოცირებული პროფესორი **კობა ბასილაია**	BUSS M204
3.	ინვესტიციები და ფინანსური პორტფელების მართვა	BUSS M227	**6**	50	100			**6**		ასოცირებული პროფესორი **მადონა გელაშვილი**	BUSS M206
4.	ფინანსური რისკ-მენეჯმენტი	BUSS M228	**6**	50	100			**6**		პროფესორი **ზურაბ ლიპარტია** ასისტენტ პროფესორი **ლია ელიავა**	BUSS M226
5.	საბანკო მენეჯმენტი	BUSS M229	**3**	35	40			**3**		ასოცირებული პროფესორი **კობა ბასილაია**	BUSS M226
6.	**პროფესიული პრაქტიკა**	BUSS M230	**6**	105	45			**6**		ასისტენტ პროფესორი **ნინო ქეცბაია**	I-II სემესტრის სასწავლო კურსები